360

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 14 (112) 20 სექტემბერი 1960 წ.

შინაარსი

ნაწილი პირველი

139. შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ინდოეთის რესპუბლიკას შორის კულტურული, მეცნიერული და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

140. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვ. გ. იაკოვლევის ცეილონში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

141. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნ. ი. ტარაკანოვის ცეილონში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ.

142. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით დამტკიცებული ზოგიერთი მედლებისა და სამკერდე ნიშნების აღწერილობაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

143. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვ. ვ. ნოვიკოვას „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

144. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. თ. ზასლავსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

145. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. მ. ჯაფაროვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

146. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ნაწილი მეორე

განაყოფილება მეორე

147. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა 1960 წლის პამირის ალპინისტური ექსპედიციის მონაწილეების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

148. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოსკოვის ბოშათა თეატრის „რომენის“ მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთანხმება

139 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ინდოეთის რესპუბლიკას შორის კულტურული, მეცნიერული და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მთავრობამ და ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობამ,

ხელმძღვანელობენ რა მისწრაფებით ყოველგვარი გზით შემდგომ განავითარონ და განამტკიცონ მათ შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა, აგრეთვე სურვილით, ხელი შეუწყონ ორივე ქვეყანას შორის კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ურთიერთგაგებისა და მტკიცე თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას,

გადაწყვეტეს დადონ შეთანხმება და ამ მიზნით დანიშნეს თავიანთ რწმუნებულებად,

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ:

გიორგი ალექსანდრეს ძე ჟუკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე,

ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობამ:

ბ-ნი ხუმაიუნი კაბირი, ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობის სამეცნიერო კვლევისა და კულტურის მინისტრი,

რომლებიც თავიანთი რწმუნებათა გაცვლის შემდეგ, რაც სათანადო წესრიგში და ჯეროვან ფორმაში აღმოჩნდა, შეთანხმდნენ ქვემომოყვანილზე:

მუხლი 1

შეთანხმების დამდები მაღალი მხარეები აცხადებენ თავიანთ სურვილს მხარი დაუჭირონ და განამტკიცონ თანამშრომლობა განათლების, ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

მუხლი 2

შეთანხმების დამდები მაღალი მხარეები გამოთქვამენ თავიანთ სურვილს ხელი შეუწყონ ურთიერთ კულტურულ გაცვლას, წაახალისონ თანამშრომლობა და მხარი დაუჭიროონ ურთიერთკავშირის განვითარებას ორივე ქვეყნის საგანმანათლებლო, მეცნიერული, ტექნიკური, კულტურული, ფიზკულტურულ-სპორტული და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებს შორის, განსაკუთრებით:

ა) ურთიერთვიზიტებისა და განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებზე მხარეების მიერ მოწყობილ კონგრესებში და კონფერენციებში მონაწილეობის გზით;

b) სპეციალისტების, განათლების მუშაკების, არტისტების, მეცნიერების, მეცნიერ მუშაკების, ფიზკულტურელების, მწვრთნელების და სპორტსმენების ურთიერთგამგზაურების გზით;

c) უმაღლესი სასწავლებლების პროფესორებისა და მასწავლებლების, აგრეთვე მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკების მიწვევით ლექციების წასაკითხად და სალექციო კურსების მოსაწყობად;

d) სტუდენტებისა და ასპირანტების გაცვლის გზით სტიპენდიების საფუძველზე უმაღლეს სასწავლებლებში მომზადების გასავლელად და სამეცნიერო-საკვლეო მუშაობის წარმოებისათვის;

e) სამეცნიერო-საკვლეო მუშაობის ერთად წარმოების გზით ისეთ დარგებში, რომელნიც წარმოადგენენ ურთიერთინტერესს ორივე ქვეყნისათვის;

f) ტურისტების ურთიერთგაცვლისთვის ხელისშეწყობის გზით.

მუხლი 3

შეთანხმების დამდები მაღალი მხარეები ხელს შეუწყობენ კულტურის განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში გამოცდილებისა და მიღწევების ურთიერთგაზიარებას:

a) განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებზე წიგნებისა და პერიოდული გამოცემების, აგრეთვე იმ საკითხებზე, რომლებიც ურთიერთინტერესს წარმოადგენენ წიგნების, ბეჭდვითი გამოცემებისა და ბიბლიოგრაფიულ ცნობართა თარგმნისა და გაცვლის წახალისების გზით;

b) განათლების, ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებზე გამოფენების, ექსპოზიციების და სხვა კულტურულ ღონისძიებათა მოწყობის გზით;

c) განათლების, ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებზე დოკუმენტური ფილმებისა და კინოჟურნალების ჩვენების, აგრეთვე ორივე ქვეყანაში მხატვრული ფილმების ურთიერთშესყიდვისა და დემონსტრაციის გაფართოებისათვის ხელისშეწყობის გზით;

d) განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებზე რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის პროგრამების გაცვლის გზით;

e) განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ტექნიკური დოკუმენტაციის, მასალების, მოწყობილობის გაცვლის გზით და ა. შ.

მუხლი 4

შეთანხმების დამდები თვითეული მაღალი მხარე, რამდენადაც მისი საკუთარი რესურსები და მოთხოვნილებანი აძლევენ საშუალებას, მიიღებს თავის პედაგოგიურ, კულტურულ, მეცნიერულ და ტექნიკურ სასწავლებლებში მეორე მხარის მთავრობის მიერ რეკომენდებულ მეორე მხარის მოქალაქეებს სასწავლებლად და მოსამზადებლად, საკვლეო მუშაობისა და სპეციალიზაციის ჩასატარებლად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 5

ხელოვნებათმცოდნეობის, პედაგოგიური, მეცნიერული, ტექნიკური და საკვლეო ინსტიტუტების დიპლომებისა და მეცნიერულ ხარისხთა „ტოლფასობის“ საკითხი ორივე მთავრობის მიერ გულდასმით და რეგულარულად იქნება შესწავლილი.

მუხლი 6

ორივე მთავრობა ვალდებულებას ღებულობს მიიღოს ყველა სათანადო ზომა ამ შეთანხმების მუხლების შესრულებისათვის ყოველგვარი ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად.

მუხლი 7

ამ შეთანხმების პირობების შესრულების მიზნით, ორივე მთავრობა თანახმაა შექმნას ინდოეთ-საბჭოთა კავშირის შერეული კომისია თვითეული მთავრობის წარმომადგენელთა თანაბარი რაოდენობისაგან. როდესაც კომისია შეიკრიბება სსრ კავშირში, მის შემადგენლობაში შევა სსრ კავშირის მთავრობის წარმომადგენელი თავმჯდომარის სახით და სსრ კავშირის მთავრობის მიერ დანიშნული კომისიის ერთი წევრი, აგრეთვე ინდოეთის მთავრობის მიერ დანიშნული კომისიის ორი წევრი. როდესაც კომისია შეიკრიბება ინდოეთში, მის შემადგენლობაში შევა ინდოეთის მთავრობის წარმომადგენელი თავმჯდომარის სახით და ინდოეთის მთავრობის მიერ დანიშნული კომისიის ერთი წევრი, აგრეთვე სსრ კავშირის მთავრობის მიერ დანიშნული კომისიის ორი წევრი.

კომისიის მიზანია:

a) რეგულარულად ადევნოს თვალყური ქვეყანაში შეთანხმების შესრულებას;

b) მისცეს რეკომენდაციები შესაბამის მთავრობებს შეთანხმების შესრულების კონკრეტულ ფორმების საკითხებზე;

c) მისცეს საერთო რეკომენდაციები შესაბამის მთავრობას შეთანხმების შესრულების გასაუმჯობესებლად.

იმისათვის, რომ მოახდინოს ორივე ქვეყანაში შეთანხმების შესრულების კოორდინირება, კომისია შეიკრიბება წელიწადში ერთხელ მაინც მორიგეობით სსრ კავშირში და ინდოეთში.

მუხლი 8

ეს შეთანხმება რატიფიცირებულ უნდა იქნას და ძალაში შევა სარატიფიკაციო მასალების გაცვლის დღიდან, რომელიც უნდა მოხდეს მოსკოვში რაც შეიძლება მალე.

ეს შეთანხმება ძალაში დარჩება ხუთი წლის განმავლობაში, ხოლო ამის შემდეგ — ექვსი თვის გასვლამდე იმ დღიდან, როცა შეთანხმების დამდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთერთი მხარე შეატყობინებს თავის განზრახვას შეწყვიტოს შეთანხმების მოქმედება.

ზემოდგადმოცემულის დასადასტურებლად ხელნებულმა რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას ორ ეგზემპლარად, თვითეული რუსულ, ჰინდის და ინგლისურ ენებზე; სამივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

ხელმოწერილია ნიუ-დელში, 1960 წლის 12 თებერვალს (რაც შეესაბამება საკას 1881 წლის 23 მაგხს).

(გიორგი ალექსანდრეს ძე ჟუკოვი)
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისაგან

(ხუმაიუნი კაბირი)
ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობის სამეცნიერო-კვლევისა და კულტურის მინისტრი

ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობისაგან

* * *

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1960 წლის 27 აპრილს, ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ — 1960 წლის 1 ივლისს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1960 წლის 10 სექტემბერს.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

140 ვ. გ. იაკოვლევის ცეილონში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ვლადიმერ გიორგის ძე **იაკოვლევი** ცეილონში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 2 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

141 ნ. ი. ტარაკანოვის ცეილონში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ნიკოლოზ იაკობის ძე ტარაკანოვი ცეილონში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1960 წლის 2 სექტემბერი.

142 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დამტკიცებული ზოგიერთი მედლებისა და სამკერდე ნიშნების აღწერილობაში ცვლილებების შეტანის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით დამტკიცებული ზოგიერთი მედლებისა და სამკერდე ნიშნების აღწერილობაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მედლის აღწერილობაში „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში წარჩინებისათვის", რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 13 ივლისის ბრძანებულებით „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში წარჩინებისათვის" მედლის დაწესების შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1950 წელი, № 20), პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მედალი „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში წარჩინებისათვის"—ნეიზილბერისაა, მოვერცხლილია, აქვს სწორი წრის ფორმა, მედლის დიამეტრი 32 მილიმეტრია".

2. მედლის აღწერილობაში „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის", რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 1 ნოემბრის ბრძანებულებით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის" მედლის დაწესების შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1950 წელი, № 36), პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მედალი „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის"—ნეიზილბერისაა, მოვერცხლილია, აქვს სწორი წრის ფორმა, მედლის დიამეტრი 32 მილიმეტრია".

3. მედლის აღწერილობაში „ხანძარზე მამაცობისათვის" რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებულებით „ხანძარზე მამაცობისათვის" მედლის დაწესების შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წელი, № 25), სიტყვა „ვერცხლისაა" შეიცვალოს სიტყვებით „ნეიზილბერისაა, მოვერცხლილია".

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 4 სექტემბრის ბრძანებულებით დაწესებული (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებანი 1945 წელი, № 61) სამკერდე ნიშნის აღწერილობა იმ პირთათვის, რომლებმაც დაამთავრეს სახელმწიფო უნივერსიტეტები, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იმ პირთა სამკერდე ნიშანი, რომლებმაც დაამთავრეს სახელმწიფო უნივერსიტეტები წარმოადგენს ოდნავ ამოზნექილ რომბს, მომინანქრებულს ლურჯად, რომბს კიდეებზე შემოვლებული აქვს თეთრი მინანქრის ზოლები, რომლის ქიმები ოქროსფრადაა მოარშიებული. ნიშნის ცენტრში, ლურჯი მინანქრის ფონზე, დასმულია სსრ კავშირის სახელმწიფო ღერბის მოოქვრილი გამოსახულება. ნიშანი მზადდება ტომპაკისაგან.

ნიშნის ზომა სიმაღლეში 46 მილიმეტრია, სიგანეში—26 მილიმეტრი. ნიშანს უკანა მხარეზე აქვს ხრახნი ქანჩით ტანსაცმელზე მისამაგრებლად“.

5. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 15 ნოემბრის ბრძანებულებით „იმ პირთათვის სამკერდე ნიშნის დაწესების შესახებ, რომლებმაც დაამთავრეს სამხედრო აკადემიები და სსრ კავშირის სამოქალაქო უმაღლესი სასწავლებლების სამხედრო ფაკულტეტები (განყოფილებები)“, დაწესებული სამკერდე ნიშნის აღწერილობა იმ პირთათვის, რომლებმაც დაამთავრეს სამხედრო აკადემიები, სსრ კავშირის სამოქალაქო უმაღლესი სასწავლებლების სამხედრო ფაკულტეტები და სამხედრო განყოფილებები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იმ პირთა სამკერდე ნიშანი, რომლებმაც დაამთავრეს სამხედრო აკადემიები, სსრ კავშირის სამოქალაქო უმაღლესი სასწავლებლების სამხედრო ფაკულტეტები და სამხედრო განყოფილებები, წარმოადგენს ოდნავ ამოზნექილ რომბს, მომინანქრებულს თეთრად; რომბს კიდეებზე შემოვლებული აქვს 2,5 მილიმეტრი სიგანის ვერცხლისფერი ზოლი, რომლის ქიმები მოარშიებულია.

ნიშნის ცენტრში, თეთრი მინანქრის ფონზე, დასმულია ხუთქიმიანი ვარსკვლავი, მომინანქრებული ლალისფერ-წითლად; ვარსკვლავის ფაცეტი მოვერცხლილია; ვარსკვლავზე დასმულია სსრ კავშირის სახელმწიფო ღერბის მოოქვრილი გამოსახულება.

ნიშნის ზომებია: სიმაღლე 46 მილიმეტრი, სიგანე—26 მილიმეტრი.

ნიშანი მზადდება ნეიზილბერისაგან, მოოქვრილი დეტალები—ტომპაკისაგან.

ნიშანს უკანა მხარეზე აქვს მოწყობილობა ნიშნის ტანსაცმელზე მისამაგრებლად.

კ. ე. ვოროშილოვის სახელობის სუვოროვის I ხარისხის ორდენოსანი უმაღლესი სამხედრო აკადემიის დამთავრებისათვის სამკერდე ნიშანზე ზოლები რომბის კიდეებზე და ვარსკვლავის ფაცეტი მოოქვრილია. ნიშანი მზადდება ტომპაკისაგან“.

6. აღწერილობა სამკერდე ნიშნისა „სსრ კავშირის დამსახურებული მფრინავი-გამომცდელი“, რომელიც დაწესებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულებით „სსრ კავშირის დამსა-

ხურებული მფრინავი-გამომცდელი“ და „სსრ კავშირის დამსახურებული შტურმანი-გამომცდელი“ სპატიო წოდებების დაწესების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1958 წელი, № 20) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნიშანი „სსრ კავშირის დამსახურებული მფრინავი-გამომცდელი“ წარმოადგენს სიგანით 27 მილიმეტრისა და სიმაღლით 23 მილიმეტრის მოვერცხლილ მრავალკუთხედს ამოზნექილი შემოქობვით. მარცხენა ზემო კუთხეში მოთავსებულია ამობურცული წარწერა „დამსახურებული მფრინავი-გამომცდელი“, მარჯვენა ქვედა კუთხეში—დაფნის ტოტი. ნიშნის ცენტრში ქვემოთ გამოსახულია ამოზნექილი ასოები „სსრკ“. ნიშნის ფუძეზე მარცხნივ დიაგონალის ასწვრივ დამაგრებულია რეაქტიული თვითმფრინავის მოოქვრილი გამოსახულება.

ნიშანი ყუნწისა და რგოლის საშუალებით უერთდება მოვერცხლილ მორაკს, რომელიც ამოჭრილია გვერდებში. მორაკის ფუძის გასწვრივ განაპერება. მორაკის შიდა ნაწილს გადაკრული აქვს ცისფერი მუარის ლენტი. უკანა მხარეზე მორაკს აქვს კუთხვილი შტიფტი ქანჩით ნიშნის ტანსაცმელზე მისამაგრებლად“.

7. აღწერილობა სამკერდე ნიშნისა „სსრ კავშირის დამსახურებული შტურმანი-გამომცდელი“, რომელიც დაწესებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულებით „სსრ კავშირის დამსახურებული მფრინავი-გამომცდელი“ და „სსრ კავშირის დამსახურებული შტურმანი-გამომცდელი“ სპატიო წოდებების დაწესების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1958 წელი, № 20), ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნიშანი „სსრ კავშირის დამსახურებული შტურმანი-გამომცდელი“ წარმოადგენს სიგანით 27 მილიმეტრისა და სიმაღლით 23 მილიმეტრის მოვერცხლილ მრავალკუთხედს ამოზნექილი შემოქობვით. მარცხენა ზემო კუთხეში მოთავსებულია ამოზნექილი წარწერა „დამსახურებული შტურმანი-გამომცდელი“, მარჯვენა ქვემო კუთხეში—დაფნის ტოტი. ნიშნის ცენტრში ქვემოთ მოთავსებულია ამოზნექილი ასოები „სსრკ“. ნიშნის ფუძეზე მარცხნივ დიაგონალის ასწვრივ დამაგრებულია რეაქტიული თვითმფრინავის მოოქვრილი გამოსახულება.

ნიშანი ყუნწისა და რგოლის საშუალებით უერთდება ვერცხლის მორაკს, რომელიც ამოჭრილია გვერდებში. მორაკის ფუძის გასწვრივ განაპერება. მორაკის შიდა ნაწილს გადაკრული აქვს ცისფერი მუარის ლენტი. უკანა მხარეზე მორაკს აქვს კუთხვილი შტიფტი ქანჩით ნიშნის ტანსაცმელზე მისამაგრებლად“.

8. ეს ბრძანებულება მოქმედებაში შედის 1961 წლის 1 იანვრიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 5 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

143 ვ. ვ. ნოვიკოვას „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

ხანძრის დროს ბავშვების გადასარჩენად მამაცობისა და თავგანწირვის გამოჩენისათვის სუჯას სკოლა-ინტერნატის მე-10 კლასის მოსწავლე ვალენტინა ვლადიმერის ასული **ნოვიკოვა** დაჯილდოებულ იქნას „**საპატიო ნიშნის**“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 5 სექტემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

144 ამხ. ა. თ. ზასიადკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადებიდან ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ალექსანდრე თევდორეს ძე **ზასიადკო** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 6 სექტემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

145 ამხ. ს. მ. ჯაფაროვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადებიდან სამოცი წლისთავის გამო და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. საფტარ მამედ ოღლი **ჯაფაროვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 7 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

146 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. ტუქაზბან იუსუბ ყზი **ახმედოვას** — კოლმეურნეს, დმანისის რაიონის სოფელი დაგარუხლო.

2. გულასარ მამედალი ყზი **ჰასანოვას** — დიასახლისს, ქალაქი რუსთავი.

3. ჰურიე იუნუსის ასულ **ლორთქიფანიძეს**—მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აჭარის ასსრ ბათუმის რაიონი.

4. ასიე ლომანის ასულ **სურმანიძეს**—კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აჭარის ასსრ ბათუმის რაიონი.

5. აიშე სერდალის ასულ **ხინკილაძეს**—რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აჭარის ასსრ ბათუმის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 9 სექტემბერი.

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

147 1960 წლის პამირის ალპინისტური ექსპედიციის მონაწილეების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ალპინისტური ექსპედიციის მიერ პამირის ზულუმართისა და იმიერალაის ქედების სიმაღლოვანი ტრავერსის წარმატებით განხორციელებისათვის დაჯილდოებულ იქნან **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ავთანდილ აფრასიონის ძე **ახვლედიანი**—მოიერიშეთა ჯგუფის წევრი—სტუდენტი.

2. ზურაბ იოსების ძე **ახვლედიანი**—ექსპედიციის უფროსის მოადგილე — პედაგოგი.

3. ლევან აფრასიონის ძე **ახვლედიანი** — ექსპედიციის უფროსი — ქუთაისის სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების საქალაქო კავშირის თავმჯდომარის მოადგილე.

4. გიორგი ნიკოლოზის ძე **ბალახაძე** — ექსპედიციის კინოოპერატორი.

5. ომარ შალვას ძე **ბერაძე** — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი—ინჟინერი.

6. ილია ნესტორის ძე **გაბლიანი** — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი — ბუღალტერი.

7. ოთარ ისიდორის ძე **გიგინეიშვილი** — პამირის სიმაღლეთან ექსპედიციაში საქართველოს სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის რწმუნებული — დოცენტი.

8. დიმიტრი სერაპიონის ძე **გუგავა** — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი—პედაგოგი.

9. სოზარ �ისიმეს ძე **გუგავა** — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი—მეტყევე ინჟინერი.

10. დიმიტრი დავითის ძე **დანგაძე**—მოიერიშეთა ჯგუფის წევრი—მხატვარი.

11. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **კეცხოველი** — საქართველოს ალპინისტების ფედერაციის თავმჯდომარე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

12. გიორგი კარპეზის ძე **კობიძე** — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი—ზეინკალი.

13. თეიმურაზ მაქსიმეს ძე **კუხიანიძე**—მოიერიშეთა ჯგუფის წევრი—გეოლოგი.

14. ივანე კონსტანტინეს ძე **ლეონტიევი** — ექსპედიციის რადისტი.

15. ჯუმბერ ალექსანდრეს ძე **მეძმარიაშვილი** — ექსპედიციის მწვრთნელი—საქართველოს ჯიფარიძის სახელობის ალპური კლუბის სასწავლო ნაწილის გამგე.

16. ჯუანშერ ირაკლის ძე **მუსელიანი** — ექსპედიციის ექიმი.

17. თეიმურაზ ივანეს ძე **ნარჩემაშვილი** — დამხმარე ჯგუფის წევრი — მექანიკოსი.

18. გივი ალექსანდრეს ძე **ყალაბეგიშვილი**—ექსპედიციის უფროსის მოადგილე — პედაგოგი.

19. ლაერტი ჭიჭიკოს ძე **ჩართოლანი**—დამხმარე ჯგუფის წევრი—საქართველოს ალკა მესტიის რაიკომის ინსტრუქტორი.

20. შოთა გაბრიელის ძე **ჩართოლანი** — დამხმარე ჯგუფის უფროსი პედაგოგი.

21. ჭიჭიკო გაიოზის ძე **ჩართოლანი** — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი—მუშა.

22. კუკურა გიორგის ძე **ჩოგოვაძე** — დამხმარე ჯგუფის წევრი—პედაგოგი.

23. გივი იოსების ძე **წერედიანი** — დამხმარე ჯგუფის წევრი — პედაგოგი.

24. ბექნუ ბესარიონის ძე **ხერგიანი** — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი—კოლმეურნე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 19 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

148 მოსკოვის ბოშათა თეატრის „რომენის“ მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1960 წელს ქალაქ თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის დაჯილდოებულ იქნან მოსკოვის ბოშათა თეატრის „რომენის“ მუშაკები **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. თამილა სუჯას ასული **აგამიროვა** — აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი, მსახიობი.
2. სანტინა ივანეს ასული **ანდრეევა** — მსახიობი.
3. ნიკოლოზ დავითის ძე **ბალიასნოი** — დასის გამგე.
4. სიმონ არკადის ძე **ბარკანი** — მთავარი რეჟისორი.
5. სიმონ მიხეილის ძე **ბუგაჩევსკი** — მუსიკალური ნაწილის გამგე, კომპოზიტორი.
6. ბარბალე ვლადიმერის ასული **ვერბიცკაია-ბიზევა** — მსახიობი.
7. ოლგა ექვთიმეს ასული **იანკოვსკაია** — რსფსრ დამსახურებული არტისტი, მსახიობი.
8. სერგი ონისიმეს ძე **ლეონოვი** — მსახიობი.
9. ნიკოლოზ თევდორეს ძე **ლუცენკო** — მსახიობი.
10. პეტრე ალექსის ძე **მოდნიკოვი** — მსახიობი.
11. ოლგა ივანეს ასული **პეტროვა**—რსფსრ დამსახურებული არტისტი, მსახიობი.
12. ვალერიან ეგორის ძე **პოლიაკოვი** — მსახიობი.
13. ალექსანდრე ივანეს ძე **პროვორნოვი**—სამხატვრო-სადადგმო ნაწილის გამგე.
14. მარიამ ვასილის ასული **სკვორცოვა**—რსფსრ დამსახურებული არტისტი, მსახიობი.
15. ანატოლი პეტრეს ძე **ფილიმონოვი** — თეატრის დირექტორი.
16. ქემალ აზიზის ძე **ხალილოვი** — მსახიობი.
17. ნადეჟდა სერგის ასული **ხმელევა (ლიალია ჩორნაია)**—რსფსრ დამსახურებული არტისტი, მსახიობი.
18. ივანე ვასილის ძე **ხრუსტალოვი**—მთავარი ბალეტმეისტერი, მსახიობი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 19 სექტემბერი.